



ენერგოდაიჯესტი

საქართველოს ენერგეტიკის სამინისტრო

ანალიტიკური დეპარტამენტი

18.08.2014

№ 31

სარჩევი

საქართველო	3
2014 წლის ივლისის თვის ანგარიშსწორების მაჩვენებლები.....	3
ნავთობპროდუქტების იმპორტმა რეკორდულ მაჩვენებელს მიაღწია	4
რეგიონი	5
თურქეთი გაზის მოხმარების შესამცირებლად ახალ სამოქმედო გეგმას იმუშავებს.....	5
სომხეთში 540 მგვტ სიმძლავრის გაზის ტურბინიანი ელექტროსადგური აშენდება.....	6
აზერბაიჯანი ავღანეთში და ერაყში ელ.ენერჯის ექსპორტს გეგმავს.....	7
რუსეთის ფედერაცია და პოსტსაბჭოთა ქვეყნები	9
რუსეთის ევროპულ ნაწილში გენერაცია შემცირდა.....	9
ქარის ინდუსტრიის წარმომადგენლებმა მიმართეს რუსეთის მთავრობას რათა შეცვალონ არსებული წესები ქარის ენერჯის გამომუშავებასთან დაკავშირებით	10
აღმოსავლეთ უკრაინაში არსებული ომი ქვანახშირის წარმოებაზე მოქმედებს.....	11
ევროპა	12
KfW ბონიაში პირველ ქარის სადგურს დააფინანსებს	12
გერმანიამ მწვანე ენერჯის ახალ დონეს მიაღწია	13
მსოფლიო	15
ADB ინდონეზიის გეოთერმული ენერჯის განვითარებისთვის 50 მლნ აშშ დოლარის სესხს გამოყოფს.....	15
ჩინური კომპანია ვენესუელას უდიდესი ჰიდროსადგურის განახლებაში ეხმარება	16
Shell-ი ლუიზიანასა და ვაიომინგში არსებულ ფიქალის საბადოებს ყიდის.....	17
ანალიტიკა	17
ფიქალის ნავთობი ახლო აღმოსავლეთის დინამიკას ცვლის.....	17

2014 წლის ივლისის თვის ანგარიშსწორების მაჩვენებლები

2014 წლის ივლისის თვეში ესკო-ს მეშვეობით შესყიდულმა (გაყიდულმა) საბალანსო ელექტროენერჯის რაოდენობამ 33 477 775.5 კვტ.სთ შეადგინა, რაც აღნიშნულ თვეში ქსელში მთლიანი მიწოდების 3.21%-ს წარმოადგენს. საბალანსო ელექტროენერჯის ღირებულებამ 2 182 423 ლარი შეადგინა.

ივლისში საბალანსო ელ.ენერჯის საშუალო შეწონილმა ფასმა ერთ კილოვატ საათზე 6.5190201 თეთრი



შეადგინა. დერეგულირებული ელ.სადგურების საბალანსო ელექტროენერჯის ფასმა კი 1.17 თეთრი/კვტ.სთ შეადგინა.

აღნიშნულ საანგარიშო პერიოდში ესკო-ს მიერ შესყიდული საბალანსო ელექტროენერჯის მომწოდებლები იყვნენ თბოელექტროსადგურები და ჰიდროელექტროსადგურები. აგრეთვე, ენერგოსისტემაში შექმნილი ავარიული სიტუაციის გამო, ივლისის თვეში ესკო-ს მიერ განხორციელდა ელექტროენერჯის იმპორტი რუსეთიდან და სომხეთიდან ავარიული ხელშეკრულებით. საბალანსო ელექტროენერჯის მთლიან მოცულობაში ჰიდროელექტროსადგურების წილი 69.1% იყო, თბოსადგურების – 12.2%, ხოლო იმპორტის – 18.7%.

2014 წლის ივლისში ესკო-დან საბალანსო ელექტროენერჯის შესყიდვა განახორციელეს გამანაწილებელმა ენერგოკომპანიებმა და პირდაპირმა მომხმარებლებმა. მათი წილობრივი მონაწილეობა საბალანსო ელექტროენერჯის შესყიდვაში, შესაბამისად, 51.82%-სა და 48.17%-ს შეადგენს. ამასთანავე, ივლისის თვეში ეგხ „მესხეთით“ განხორციელდა ელექტროენერჯის ექსპორტი სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის“ მიერ და ესკო-დან შესყიდულ იქნა საბალანსო ელექტროენერჯია, რაც ივლისის თვეში შესყიდული საბალანსო ელექტროენერჯის 0.0031%-ს შეადგენს.

ივლისის თვეში გარანტირებული სიმძლავრის სამივე წყაროს მიერ ფაქტობრივად უზრუნველყოფილი გარანტირებული სიმძლავრის მთლიანი ღირებულება იყო 1 742 277 ლარი, ხოლო გარანტირებული სიმძლავრის შემსყიდველი კვალიფიციური საწარმოების მიერ ყოველ მოხმარებულ კილოვატ საათზე გადახდილმა გარანტირებული სიმძლავრის საფასურმა 0.18877663 თეთრი შეადგინა.¹

¹ http://esco.ge/index.php?article_id=144&clang=0

ნავთობპროდუქტების იმპორტმა რეკორდულ მაჩვენებელს მიაღწია

ნავთობპროდუქტების იმპორტიორთა კავშირის განცხადებით, მიმდინარე წლის ივლისის თვეში საქართველოში ნავთობპროდუქტების (ბენზინი და დიზელის საწვავი) იმპორტმა შეადგინა 103.3 ათასი ტონა, რაც 31.2 ათასი ტონით აღემატება ივნისის თვის მაჩვენებელს. მათ შორის, ივლისის თვეში ბენზინის საწვავის იმპორტმა შეადგინა 38.2 ათასი ტონა, ხოლო დიზელის საწვავის იმპორტმა - 65.1 ათასი ტონა.

სულ 2014 წლის პირველი შვიდი თვის განმავლობაში საქართველოში ნავთობპროდუქტების (ბენზინი და დიზელის საწვავი) იმპორტმა შეადგინა 488.1 ათასი



ტონა. მათ შორის, ბენზინის საწვავის იმპორტმა შეადგინა 210.1 ათასი ტონა, ხოლო დიზელის საწვავის იმპორტმა - 278.0 ათასი ტონა.

საწვავის კატეგორიების მიხედვით 2014 წლის ივლისის თვეში საქართველოში ბენზინის საწვავის იმპორტმა შეადგინა: A-91 რეგულარის მარკის ბენზინი - 21.8 ათასი ტონა, ანუ 57.1%; A-95

პრემიუმ მარკის ბენზინი - 41.6 ათასი ტონა, ანუ 41.6%, A-98 სუპერის მარკის ბენზინი - 0.5 ათასი ტონა, ანუ 1.3%. ხოლო დიზელის საწვავის იმპორტმა შეადგინა: 50PPM (ევრო დიზელი) - 19.1 ათასი ტონა, ანუ 29.3%, L-62 დიზელის საწვავი - 46.0 ათასი ტონა, ანუ 70.7%.

ქვეყნების მიხედვით 2014 წლის პირველი შვიდი თვის განმავლობაში ბენზინისა და დიზელის საწვავის იმპორტის ყველაზე დიდი მოცულობა განხორციელდა რუმინეთიდან - 171.4 ათასი ტონა, რაც მთელი იმპორტის 35.1%-ს შეადგენს. შემდეგ მოდიან: აზერბაიჯანი - 122.9 ათასი ტონა - 25.2%; ბულგარეთი - 75.2 ათასი ტონა - 15.4%; საბერძნეთი - 59.8 ათასი ტონა - 12.3%; რუსეთი - 37.8 ათასი - 7.7%, თურქმენეთი - 19.1 ათასი ტონა - 3.9%.

აქვე უნდა შევეხოთ სხვა ნავთობპროდუქტების იმპორტის მონაცემებსაც:

საავიაციო ნავთის (JET) იმპორტმა 2014 წლის იანვარ-ივლისის თვეებში შეადგინა 36.2 ათასი ტონა, რომლიდანაც ყველაზე დიდი წილი - 69.9% განხორციელდა აზერბაიჯანიდან, შემდეგ მოდიან: თურქმენეთი - 26.2%, საბერძნეთი - 3.9%. მათ შორის ივლისის თვეში საავიაციო ნავთის იმპორტმა შეადგინა 7.5 ათასი ტონა, რაც 2.7 ათასი ტონით აღემატება ივნისის თვის მაჩვენებელს.

მიმდინარე წელს საქართველოში იმპორტირებულ იქნა 48.9 ათასი ტონა სანავთობო ბიტუმი, რომლის უმეტესი წილი - 99.9 % განხორციელდა ირანის ისლამური

რესპუბლიკიდან. ივლისის თვეში სანავთობო ბიტუმის იმპორტმა შეადგინა 15.4 ათასი ტონა, რაც 8.7 ათასი ტონით აღემატება ივნისის თვის მაჩვენებელს.

მიმდინარე წლის 7 თვის განმავლობაში საქართველოში საცხებ-საპოხი მასალების იმპორტმა შეადგინა 9.7 ათასი ტონა, ხოლო ივლისის თვეში - 1.7 ათასი ტონა.²

რეგიონი

თურქეთი გაზის მოხმარების შესამცირებლად ახალ სამოქმედო გეგმას იმუშავებს

სახემლწიფო საკუთრებაში არსებული თურქული მილსადენების კორპორაცია BOTAS-ი აპირებს გაატაროს პრევეციული ღონისძიებები, რათა ზამთრის თვეებში სრულიად დააკმაყოფილოს ქვეყნის ბუნებრივი აირის მოთხოვნა იმ შემთხვევაში, თუ



რუსეთიდან უკრაინის გავლით გაზის თურქეთში შევსლა შეწყდება. BOTAS-ის წარმომადგენელზე დაყრდნობით სააგენტო Anadolu ავრცელებს ინფორმაციას, რომ რუსეთიდან უკრაინის გავლით მომავალ გაზსადენს დღიურად 50 მლნ კუბ.მ. ბუნებრივი აირის მიწოდება შეუძია თურქეთისთვის. ამ გაზსადენიდან შემოსული ბუნებრივი აირიდან 14 მლრდ კუბ.მ.-ს 10 კერძო კომპანია მოიხმარს, ხოლო 4 მლრდ კუბ.მ.-ს BOTAS-ი. ზამთარში თურქეთის ყოველდღიურმა მოხმარებამ შესაძლოა 240 მლნ კუბ.მ. შეადგინოს.

² <http://oilnews.ge/index.php?menuid=9&lang=1&id=3138>

გაზსადენი თურქეთისთვის ძალიან მნიშვნელოვანია, რადგანაც ის ბუნებრივ აირს აწვდის თრაკიისა და დასავლეთ ანატოლიის რეგიონებს, რომლებზეც ჯამურად მთელი თურქეთის ბუნებრივი აირის მოხმარების ¾ მოდის და რადგანაც ამ გაზსადენის მიერ მიწოდებული ბუნებრივი აირი არ არის საკმარისი რეგიონების მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად, მათ ბუნებრივი აირი აღმოსავლეთის რეგიონებიდან საკომპრესორო სადგურების მეშვეობით მიეწოდება.

ხელისუფლება ხაზგასმით აღნიშნავს, რომ იმ შემთხვევაში, თუ რუსეთიდან ბუნებრივი აირის იმპორტი მოკლე დროით შეწყდება, დასავლეთის რეგიონების დაკმაყოფილება აღმოსავლეთიდან გადმოქაჩული ბუნებრივი აირით ვერ მოხერხდება. მათ გამოსავლად თხევადი ბუნებრივი აირი მიაჩნიათ. შესაძლებელი იქნება თხევადი ბუნებრივი აირის იმპორტის გაზრდა, თუმცა ეს მოკლევადიანი და ხარჯიანი გადაწყვეტილება იქნება. ხელისუფლება აცხადებს, რომ სხვა ალტერნატივებიც არსებობს. შესაძლებელია ბუნებრივი აირის აზერბაიჯანიდან და რუსული blue Stream Pipeline-დან შემოტანა. თურქეთი ამჟამადც განიხილავს Blue Stream-იდან 3 მლრდ კუბ.მ. ბუნებრივი აირის იმპორტირების საკითხს და სავარაუდოა, რომ შეთანხმებას მხარეები 2015 წლის დასაწყისში მიაღწევენ.³

სომხეთში 540 მგვტ სიმძლავრის გაზის ტურბინიანი ელექტროსადგური აშენდება

ხუთშაბათს, მინისტრთა კაბინეტის მორიგ სხდომაზე, სომხეთის ენერჯეტიკისა და ბუნებრივი რესურსების მინისტრმა - ერვანდ ზახარიანმა განაცხადა, რომ 540 მგვტ სიმძლავრის გაზის ტურბინიანი ელექტროსადგური აშენდება.

მისი თქმით, „ანაკლია ჰოლდინგმა“ (Anaklia IEP Holdings) მთავრობას სთხოვა 540 მგვტ სიმძლავრის გაზის ელექტროსადგურის მშენებლობის ნებართვა, რომელიც იქნება დაკომპლექტებული ორი 270 მგვტ სიმძლავრის ერთეულისგან და იმუშავებს „General Electric“-ის გაზის ტურბინებზე.

ზემოთ ხსენებულ სხდომაზე მინისტრთა კაბინეტი დათანხმდა შემოთავაზებას რათა გაფორმდეს მემორანდუმი კომპანიასთან ახალი სადგურის მშენებლობისა და ოპერირების შესახებ.

პრემიერ მინისტრის - ჰოვიკ აბრაჰამიანის განცხადებით, მოლაპარაკებების შედეგად გათვალისწინებულია, რომ ყველა რისკს კომპანია აიღებს თავის თავზე და არა მთავრობა.

³ <http://www.dailysabah.com/energy/2014/08/09/turkey-generates-new-action-plans-in-case-of-gas-cut>

მისივე თქმით, პროექტის წარმატებით განხორციელების შემთხვევაში, ეს იქნება ძალიან ეფექტური, ვინაიდან გამოიმუშავებული სიმძლავრე ექსპორტზეც გავა. პროექტის სავარაუდო ღირებულება 600 მილიონ აშშ დოლარს შეადგენს და უნდა განხორციელდეს 18 თვის ვადაში.

მიმდინარე წლის პირველ ნახევარში, სომხეთში გამოიმუშავებული და განაწილებული ელექტროენერჯის ღირებულებამ 85 მილიონი აშშ დოლარი შეადგინა, რაც 3.4%-ით არის შემცირებული წინა წლის ანალოგიურ მონაცემთან შედარებით.

სომხეთის თბოელექტროსადგური გამოიმუშავებს 1312.4 მლნ კვტ.სთ ელექტროენერჯიას, ჰიდროელექტროსადგურები - 1071.3 მლნ კვტ.სთ-ს, ხოლო სომხეთის ატომურმა ელექტროსადგურმა კი 2014 წლის იანვარი-ივნისის პერიოდში 1349.4 მლნ. კვტ.სთ ელ.ენერჯია გამოიმუშავა. სხვა წყაროებიდან გამოიმუშავებულმა ელექტროენერჯიამ ჯამში 2.3 მილიონი კვტ.სთ შეადგინა.⁴

აზერბაიჯანი ავღანეთში და ერაყში ელ.ენერჯის ექსპორტს გეგმავს

ირანულ ტელევიზია IRINN TV-ის გადაცემა „ცენტრალური აზიისა და კავკასიის ჟურნალში“ ვიზიტისას აზერბაიჯანში ირანის ელჩმა მოჰსენ პაკ აიენმა განაცხადა, რომ აზერბაიჯანი ავღანეთსა და ერაყში ირანის გავლით ელ.ენერჯის ექსპორტს გეგმავს.



„აზერბაიჯანიდან ერაყსა და ავღანეთში ირანის მეშვეობით ელ.ენერჯის ტრანსპორტირების საკითხი თითქმის შეთანხმებულია. აზერბაიჯანის დელეგაცია მოკლე ხანში ჩამოვა ირანში და შეთანხმებას ხელი მოეწერება,“ - აცხადებს აიენი.

11 აგვისტოს ბაქოში ვაჭრობისა და ეკონომიკის და ჰუმანიტარული სფეროს ხელშეწყობის შეხვედრაზე აზერბაიჯანისა და ირანის მთავრობათაშორისი კომისია შეთანხმდა ელ.ენერჯის ტრანსპორტირებასა და გაცვლაში ურთიერთთანამშრომლობის საკითხზე.

მანამდე აზერბაიჯანმა მიაღწია შეთანხმებას რუსეთისა და ირანის ენერგეტიკულ სისტემებთან სინქრონიზაციასთან დაკავშირებით.

⁴ http://arka.am/en/news/economy/540_megawatt_gas_turbine_power_plant_to_be_built_in_armenia/

აზერბაიჯანის ენერგეტიკის მინისტრის მოადგილემ ნატიგ აბასოვმა მანამდე განაცხადა, რომ სამი ქვეყნის ენერგეტიკული ქსელის სინქრონიზაცია რუსეთისა და ირანის ერთობლივი ინიციატივა იყო.

აზერბაიჯანს ასევე შესაძლებლობა ექნება მიიღოს გარკვეული შემოსავალი, როგორც სატრანზიტო ქვეყანამ.

„ტექნიკური თვალსაზრისით აზერბაიჯანი ამ პროექტისთვის დიდი ხანია უკვე მზად არის როგორც რუსეთის, ასევე ირანის საზღვართან. ჩვენ ასევე ავაშენეთ გადამცემი ხაზები და ქვესადგურები,“ - აცხადებს აბასოვი.

აზერბაიჯანისა და რუსეთის ენერგეტიკული სისტემები უკვე დაკავშირებულია ორი გადამცემი ხაზით - 330 კილოვოლტიანი დერბენდითა და 110 კილოვოლტიანი იალამათი.

ასევე, აზერბაიჯანი ირანთანაც ახორციელებს ენერჯის გაცვლას ფარსაბად 1 (230 კილოვოლტი), ფარსაბად 2 (330 კილოვოლტი), ასტარას (110 კილოვოლტი), ჯულფასა და არაზის (132 კილოვოლტი) გადამცემი ხაზებით.

აზერბაიჯანის, ირანისა და რუსეთის ენერგეტიკული ქსელების სინქრონიზაცია ქვეყნებს შესაძლებლობას მისცემს პარალელურ რეჟიმში მოახდინონ ელ.ენერჯის გაცვლა.

აზერბაიჯანის ყველაზე მსხვილმა ენერჯის მწარმოებელმა Azerenergy-მ იანვარი-ივლისის პერიოდში 13 მლრდ კვტ.სთ ელ.ენერჯია აწარმოა. ეს მონაცემი 2013 წლის იმავე პერიოდის მაჩვენებელზე მეტია (12.6 მლრდ კვტ.სთ).

აზერბაიჯანის ელ.ენერჯის წარმოება ბოლო ხუთ წელიწადში 30%-ით გაიზარდა.

დღესდღეობით აზერბაიჯანის ელ.სადგურების ჯამური დადგმული სიმძლავრე 7 105 მგვტ.-ია, რაც წლიურად 24 მლრდ კვტ.სთ. ელ.ენერჯის წარმოების საშუალებას იძლევა, რაც თავის მხრივ ქვეყანას 2.1 მლრდ კვტ.სთ ელ.ენერჯის ექსპორტირების შესაძლებლობას აძლევს.⁵

⁵ <http://www.azernews.az/business/69588.html>

რუსეთის ევროპულ ნაწილში გენერაცია შემცირდა

რუსეთის სახელმწიფო კომპანია RusHydro-ს მონაცემებით, რუსეთის ევროპულ რეგიონებში განთავსებულ ჰესებზე წყალმცირობის გამო გამომუშავება შემცირებულია. პირველი 6 თვის განმავლობაში „რუბინსკაიას“ და „უგლიჩსკაიას“ ჰესებმა 517 მლნ



RusHydro

კვტ.სთ ელ.ენერჯია გამოიმუშავეს, რაც წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით 50%-ით ნაკლებია. წლის დასაწყისში ორივე ჰესი წყალმცირობის გამო დროებით გაჩერებული იყო, რაც ბოლო რამდენიმე ათწლეულის განმავლობაში პირველად დაფიქსირდა. ამასთანავე „ჩეხოკსკარსკაიას“ ჰესმა 1.2 მლრდ კვტ.სთ გამოიმუშავა, რაც 2013 წლის პირველ ნახევართან შედარებით 5.6%-ით ნაკლებია. „სარატოვსკაიას“ ჰესმა 3.15 მლრდ კვტ.სთ ელექტროენერჯია გამოიმუშავა - 7.3%-ით ნაკლები ვიდრე გასულ წელს, ხოლო „ვოლჟსკაიას“ ჰესმა 6.74 მლრდ კვტ.სთ - 10%-ით ნაკლები ვიდრე 2013 წელს.

ცენტრალურ რუსეთში დაფიქსირებული უჩვეულო თბილი და მშრალი ზამთრის გამო, RusHydro-ს ჰესებისთვის მცირე თოვლის რეზერვები იყო, რამაც ზაფხულში რეზერვუარებში წყლის დაბალი დონე გამოიწვია. წლის დასაწყისში ვოლგა-კამას რეგიონში ხშირად წყლის მიწოდების კუთხითაც შეზღუდვები იყო. ამისგან განსხვავებით, ციმბირისა და შორეული აღმოსავლეთის რეგიონებში წყლის სიუხვე იყო.

კომპანია „საიანო-შუმენსკაიას“ ჰესზე გამომუშავებას უდიდეს ყურადღებას უთმობს, რომელზეც 2009 წელს მძლავრი აფეთქება დაფიქსირდა. RusHydro-ს განცხადებით, აღნიშნულ ჰესზე წყლის ნაკადი მოსალოდნელ დონეზე იყო. 3-დან 11 აგვისტომდე საშუალო წყლის მოდინებამ წამში 1 177 კუბ.მ შეადგინა. მარეგულირებელს ამ ჰესზე წყლის მოდინების დონე 1 აგვისტოდან 3 სექტემბრამდე 1 100-დან 1 700 კუბ.მ-მდე აქვს განსაზღვრული. კომპანიის განცხადებით, სარემონტო სამუშაოები „საიანო-შუმენსკაიას“ მე-2 ბლოკზე თითქმის დასრულებულია.⁶

⁶NewsBase Energo, CEE/FSU Power Monitor, Issue 726, 13 August 2014, RusHydro reports falling output in European Russia

ქარის ინდუსტრიის წარმომადგენლებმა მიმართეს რუსეთის მთავრობას რათა შეეცვალონ არსებული წესები ქარის ენერჯის გამომუშავებასთან დაკავშირებით

ქარის ენერჯის მწარმოებლებმა, ადგილობრივ დეველოპერებსა და მწარმოებელ კომპანიებთან ერთად, რომლებიც დაინტერესებულნი არიან რუსულ ბაზარზე ოპერირებით, მიმართეს მთავრობას, რათა შეეცვალოთ არსებული წესები, რომელიც რუსეთის მთავრობამ 2013 წელს დაამტკიცა.



მწარმოებლებს შორის, რომლებმაც წარადგინეს შუამდგომლობა ეროვნულ მთავრობასთან, არიან: GE, Siemens და Vestas, ასევე ადგილობრივი კომპანიები, მათ შორის Inter RAO engineering, RusHydro, Evrosibenergo, VetroOGK, Atomenergomash და HC Composite.

პეტიციაში აღნიშნულია, რომ აუცილებელია დაგეგმილი 3.6 გვტ სიმძლავრის შენახვა 2017 წლისათვის, რათა ჩადებული საინვესტიციო კაპიტალის 12-14% ამოღებულ იქნას. კომპანიებმა ასევე სთხოვეს რუსეთის მთავრობას, რომ მოთხოვნები შეარბილონ აღჭურვილობის მდებარეობის კუთხითაც.

მკაცრი წესებისა გამო რუსეთის ქარის ინდუსტრიაში ამოგება უმნიშვნელოა, ქარის ტურბინის წარმოების პირობებში კი ამოგება საერთოდ არ არსებობს. აღნიშნულის ერთ-ერთი გამომწვევი ფაქტორია ქარის ტურბინის მშენებლობის ნებართვის მოპოვება, რომელსაც რუსეთში 3 წელი ესაჭიროება.

თუმცა, შეთავაზებამ ადგილობრივ წყაროებზე მოთხოვნების შემსუბუქების შესახებ, გამოიწვია რუსული კომპანიების კრიტიკა, კერძოდ ესენი არიან კომპანები - Galen და Russky Veter (Галена და Русский Ветер), რომელებიც გეგმავენ AMSC-თან თანამშრომლობით ტურბინების წარმოებას.

პეტიციით კომპანიებმა ასევე მოუწოდეს მთავრობას მაქსიმალური კაპიტალური ხარჯების გაზრდისაკენ, რაც ამჟამად 1 მგვტ-ზე განსაზღვრულია 66 მლნ რუსული რუბლით (2 მლნ აშშ დოლარი). აღნიშნული ითვალისწინებს უცხოური ვალუტის კურსის ცვალებადობას.

და ბოლოს, კომპანიებმა მოითხოვეს რომ შეინარჩუნონ პროექტის მომგებიანობის დონე 14%-ით. ამასთანავე, ისინი ითხოვენ, რომ კონკრეტულ პროექტს პროექტირების

ეტაპზე და არა მისი ექსპლუატაციაში შესვლის შემდეგ, მიენიჭოს კვალიფიკაცია, რაც ხელს შეუწყობს რისკებისა და ჯარიმების თავიდან აცილებას.

კომპანია GE Russia-ს ოფიციალური წარმომადგენლის თანახმად, კომპანია უახლოეს მომავალში აპირებს ქარის ტურბინების წარმოებას რუსეთში. წარმოება ამოქმედდება მიმდინარე წლის ბოლოს და პირველი პროდუქცია მომხმარებლისათვის ხელმისაწვდომი გახდება 2016-2017 წლებში.

Siemens-ის წარმომადგენლებმა უარი განაცხადეს კომენტარის გაკეთებაზე. 2010 წელს კომპანიამ გამოაქვეყნა თავისი გეგმები, რუსეთში ქარის ტურბინების წარმოების დაწყებასთან დაკავშირებით კომპანია RusHydro-სა და Rostekhnologii-სთან (РусГидро და Ростехнологиями) თანამშრომლობის გზით, თუმცა პროექტი არ განხორციელებულა.⁷

აღმოსავლეთ უკრაინაში არსებული ომი ქვანახშირის წარმოებაზე მოქმედებს

უკრაინის ადგილობრივი საინფორმაციო სააგენტო Segodnya ქვეყნის ძირითადი ქვანახშირის მწარმოებელი რეგიონის - დონეცკის გუბერნატორის სერჟი ტარუტას ცნობაზე დაყრდნობით აცხადებს, რომ ქვეყნის აღმოსავლეთ რეგიონში რუსი სეპარატისტების წინააღმდეგ არსებული ომის გამო უკრაინაში შესაძლოა ელ.ენერჯის მიწოდება კიდევ უფრო შეიზღუდოს.

გუბერნატორის ცნობით, რეგიონში რკინიგზა პარალიზებულია და ადგილობრივი ელექტროსადგურებისა და ფოლადის ქარხნებისთვის ძნელია ქვანახშირის მიწოდება. „აღჩევსკის“ ფოლადის ქარხანა ნედლეულის გარეშე დარჩა და მსგავსი პრობლემების წინაშე იენაკიევო და დონეცკიც, რადგან შეუძლებელია მეზობელი ლუგანსკის პროვინციის რამდენიმე მაღაროდან ქვანახშირის მიღება, ამიტომ ქვანახშირის მიწოდება მცირე ოდენობითაა შესაძლებელი.

ქვანახშირის ტრანსპორტირება ძირითადად ადგილობრივი რკინიგზის საშუალებით ხდება, რომელიც ორმხრივი ბრძოლების დროს განადგურდა. ქვეყნის სარკინიგზო კომპანიის განცხადებით, ძირითადი ინფრასტრუქტურა მთლიანად მოშლილია დონეცკის მხარეში. რკინიგზა აკავშირებს კოქსის სადგურებს დონეცკის ჩრდილოეთთან სადაც რეგიონის ორი უდიდესი ფოლადის ქარხანაა - „ილიჩი“ და „აზოვსტალი“. რეგიონის უდიდესმა ენერჯო კომპანია DTEK-მა განაცხადა, რომ ორივე ქარხანა კოქსის მიუწოდებლობის გამო გაჩერებულია. მანამდე კომპანიას თანამშრომლების სიცოცხლის უსაფრთხოების გამო ძირითადი მაღაროების მუშაობის

⁷ <http://www.windpowermonthly.com/article/1305696/manufacturers-petition-russian-government-wind-rules>

გაჩერება მოუწია ლუგანსკის რამდენიმე საბადოში და კომსომოლც დონბასში. DTEK-ის განცხადებით, 7 აგვისტოს შეიარაღებულმა პირებმა ლუგანსკის მხარის მადაროებიდან მაღალი ხარისხის 5000 ტონა ქვანახშირი გაიტანეს.⁸

ევროპა

KfW ბოსნიაში პირველ ქარის სადგურს დააფინანსებს

გერმანიის განვითარების ბანკი KfW ბოსნია-ჰერცეგოვინაში 44 მგვტ სიმძლავრის „მესიპოვინას“ პირველი ქარის სადგურის მშენებლობას დააფინანსებს. KfW-ს სარაევოს ოფისის უფროსის სტეფან ლეუდესდორფის განცხადებით, ქვეყანაში ქარის ენერჯის დიდი პოტენციალია, სავარაუდოდ, 1000 მგვტ დადგმულის სიმძლავრით. ბოსნიის



ხელისუფლებამ ქარის ელექტროსადგურების სიმძლავრის ზედა ზღვარი (300 მგვტ) სამართლებრივად განსაზღვრა. გერმანიის მთავრობამ KfW-ს საშუალებით „მესიპოვინას“ ქარის სადგურისთვის 71 მლნ ევრო გამოყო, რომელიც ქვეყნის დასავლეთ მხარეში ტომისლავგრადას მახლობლად განთავსდება, მაგრამ მშენებლობა ჯერ კიდევ არ დაწყებულა. ეს კი იმიტომ, რომ საერთაშორისოდ აღიარებული კომპანია აღნიშნული სადგურის ასაშენებლად ჯერ ვერ მოიძებნა, თუმცა მოლაპარაკებები ამ დრომდე მიმდინარეობს. ლეუდესდორფის თქმით, ეს იმიტომ ხდება, რომ დიდი კომპანიები ბოსნიაში გარკვეულ სიძნელეებს აწყდებიან და საკმაოდ სკეპტიკურად უყურებენ ქვეყანაში ინვესტირებას. მისი აზრით, სიტუაციის შესამსუბუქებლად მთავრობამ უნდა

⁸NewsBase Energy, CEE/FSU Power Monitor, Issue 726, 13 August 2014, War in eastern Ukraine affects coal production

შეამციროს ინვესტიციებზე პოლიტიკური გავლენა და ბიუროკრატია. ამასთანავე, უნდა დაჩქარდეს ინვესტორების შემოსვლის ხელშეწყობის პროცედურები.

KfW-მ მსგავს პროექტზე დაფინანსების შეთანხმებას გასული წლის დეკემბერშიც მოაწერა ხელი, რომლის მიხედვითაც ქარის სადგური პოდველეუჟეს რეგიონში აშენდება და რომლის ინვესტირებაშიც გერმანული ბანკი 65 მლნ ევროს გაიღებს. ლეუდესდორფის ცნობით, სამშენებლო სამუშაოები მომავალ წელს დაიწყება. მესამე პროექტი სავარაუდოდ სტოლაჩის ტერიტორიის მახლობლად განთავსდება და თუ ყველა სამუშაო წარმატებით განხორციელდება, დაფინანსების შეთანხმებას მომდევნო წელს მოაწერენ ხელს.

ამ დრომდე გერმანიის მთავრობას KfW-ს მეშვეობით ბოსნიაში 200 მლნ ევროზე მეტი აქვს ინვესტირებული ქარის სადგურების პროექტებში. გერმანული ბანკი ინვესტიციებს მდინარე ბოსნაზე მცირე ჰესების მშენებლობაშიც დებს.⁹

გერმანიამ მწვანე ენერჯის ახალ დონეს მიაღწია

მაშინ, როცა ევროპა რუსულ გაზზე დამოკიდებულების შესამცირებლად „იბრძვის“, გერმანია მწვანე ენერჯის სულ უფრო ავითარებს: 2014 წლის პირველი ნახევრის განმავლობაში ქვეყანამ ელ.ენერჯის 31% განახლებადი ენერჯის წყაროებიდან აწარმოა. წყლის გარდა, განახლებადებიდან წარმოებულმა ენერჯიამ 27% შეადგინა, მაშინ როცა გასულ წელს ეს მაჩვენებელი 24% იყო.



მხოლოდ მზისა და ქარის ენერჯიაზე გენერაციის 17% მოდის, ხოლო გასულ წლებში იგი 12%-13%-ს შეადგენდა. 2013 წლის პირველ ნახევართან შედარებით მზის

⁹ NewsBase Energo, CEE/FSU Power Monitor, Issue 726, 13 August 2014, KfW finances Bosnia's first wind farm

ელექტრო სადგურებმა მიმდინარე წელს ჯამური წარმოება 28%-ით გაზარდეს, ხოლო ქარის სადგურებმა - 19%-ით.

მიუხედავად მურა ნახშირის მოხმარების 4%-ით შემცირებისა, გერმანია ელ.ენერჯის უმეტესობას ქვანახშირიდან აწარმოებს. გაზის თბოელექტროსადგურების გამომუშავება 25%-ით არის შემცირებული, როცა ბირთვული ენერჯია მხოლოდ 2%-ით შემცირდა.

აშშ განახლებადებიდან რაოდენობრივად გაცილებით მეტ ენერჯიას აწარმოებს ვიდრე გერმანია, თუმცა პროცენტული წილი მთლიან ენერჯო გენერაციაში გაცილებით ნაკლები აქვს. აშშ-ს ენერჯეტიკის საინფორმაციო სააგენტოს მიხედვით, 2013 წელს განახლებადებმა მთლიან ელ.ენერჯის გენერაციაში მხოლოდ 4% შეადგინა. მზის სადგურებზე მხოლოდ 0.23% მოდის, გეოთერმულ ენერჯიაზე - 0.41%, ხოლო ბიომასაზე - 1.48%.

გერმანიის მთავრობა და მოსახლეობა ცნობილია გარემოზე ზრუნვით. 1990-იანებსა და 2000-იანის დასაწყისში მათი მცდელობა წყლის კონსერვაციებზე იმდენად შთამბეჭდავი იყო, რომ 2009 წლისთვის საკანალიზაციო სისტემები წყლის დენადობის სიმცირეს განიცდიდნენ. ბუნებაზე ზრუნვის კუთხით გერმანელებთან მიმართებაში გამოთქმაც ჩამოყალიბდა - „გააკეთე გერმანულად“. გარემოზე მსგავსი ზრუნვა საბოლოოდ დაეხმარა გერმანიას გარკვეულწილად შეემცირებინა რუსეთის ბუნებრივ აირზე დამოკიდებულება, რომელიც ამჟამად ევროპის მოხმარების მესამედს უზრუნველყოფს.

2011 წლისთვის ერთმა გერმანულმა სოფელმა უკვე დაიწყო მინიმუმ 300%-ით მეტი ენერჯის წარმოება, ვიდრე მას სჭირდება და შედეგად ეროვნულ ქსელში ელ.ენერჯის გაყიდვით სოფელი ყოველწლიურად 5.7 მლნ აშშ დოლარს იღებს.¹⁰

¹⁰ <http://www.businessweek.com/articles/2014-08-14/germany-reaches-new-levels-of-greenness-gets-31-percent-of-its-electricity-from-renewables>

ADB ინდონეზიის გეოთერმული ენერჯის განვითარებისთვის 50 მლნ აშშ დოლარის სესხს გამოყოფს

„აზიის განვითარების ბანკი“ ინდონეზიის გეოთერმული ენერჯის მხარდასაჭერად 50 მლნ აშშ დოლარის სესხს გამოყოფას გეგმავს.

„სუფთა ტექნოლოგიების ფონდის“ მიერ მხარდაჭერილი სესხი სამხრეთ სუმატრაში „რანტაუდედაპის“ გეოთერმული პროექტის განვითარებაში კერძო ინვესტორებს დაეხმარება და შეამცირებს და გაინაწილებს მათ რისკებს.

„ეს ინოვაციური სესხი მეტყველებს იმაზე, თუ რამდენად უჭერს მხარს ADB სუფთა ენერჯოტექნოლოგიებს, რომელთაც ქვანახშირი და ნავთობი უნდა ჩაანაცვლონ. ამასთანავე, ეს



დაფინანსება ინდონეზიის გეოთერმული პოტენციალის განვითარებას შეუწყობს ხელს“ - განაცხადა „აზიის განვითარების ბანკის“ კერძო სექტორის ოპერაციების დეპარტამენტის საინვესტიციო სპეციალისტმა რაჰმან ლაზეენამ.

„რანტაუდედაპის“ პროექტის პირველ ეტაპზე გეოთერმული რესურსის ძიება მოხდება ბურღვითა და ტესტირებით.

გეოთერმული პროექტის მიზანი 30 წლის განმავლობაში 240 მგვტ გეოთერმული ენერჯის მიღებაა, რამაც ყოველწლიურად 1.1 მლნ ტონით უნდა შეამციროს გარემოში ნახშირბადის ემისიები.

პროექტის განვითარება 35 წლიანი ლიცენზიით მოხდება, რომელიც 30 წლის განმავლობაში ეროვნულ სადისტრიბუციო კომპანია Perusahaan Listrik Negara-სთვის ელ.ენერჯის მიყიდვას ითავლისწინებს.

მსესხებელი - Supreme Energy RantauDedap - ეს არის ქვეყანაში შექმნილი სპეციალური მექანიზმი, რომელმაც უნდა მოიძიოს და განავითაროს გეოთერმული რესურსები, ააშენოს და ოპერირება გაუწიოს ელ.სადგურებს. პროექტის აქციონერები არიან GDF Suez-ი, Marubeni Corporation-ი და Supreme Energy.

მიმდინარე სესხი მოჰყვას სარაულას გეოთერმული ენერჯის განვითარების პროექტისთვის გადაცემულ 350 მლნ აშშ დოლარიან დაფინანსებას, რომელიც ასევე „სუფთა ტექნოლოგიების ფონდის“ მხარდაჭერით განხორციელდა.

ინდონეზიის გეოთერმული რესურსი, სავარაუდოდ, 29 000 მგვტ.-ია და აქედან მხოლოდ 5%-ია ჯერ-ჯერობით განვითარებული.¹¹

ჩინური კომპანია ვენესუელას უდიდესი ჰიდროსადგურის განახლებაში ეხმარება

ვენესუელამ ჩინურ კომპანიასთან ერთად ქვეყნის უდიდესი ჰიდროელექტროსადგურის სარემონტო სამუშაოები დაიწყო.

ქვეყნის ნაციონალურ ტელევიზიასა და რადიოში ინტერვიუს დროს ვენესუელას ენერჯეტიკის მინისტრმა ჯესე ჩაკონმა განაცხადა, რომ გურის ჰიდროელექტროსადგურის სარემონტო სამუშაოებისთვის 1.31 მლრდ აშშ დოლარია



东方电气®

გამოყოფილი და ჩინურმა კომპანია Dongfang Electric Corporation-მა მის შესასრულებლად კონკურენტული ტენდერი მოიგო.

მინისტრის განცხადებით, 6 ტურბინის ასაკი 30 წელზე მეტია და იმისათვის, რათა მათ ეროვნული ქსელის მოთხოვნა დააკმაყოფილონ, შეკეთება ესაჭიროებათ. რეგულარულმა სარემონტო სამუშაოებმა დღემდე გაზარდა სადგურის სიცოცხლისუნარიანობა, მაგრამ ინფრასტრუქტურის გასაძლიერებლად საფუძვლიანი რემონტი და განახლება საჭირო.

ხელისუფლებამ განაცხადა, რომ მათ შეისწავლეს მრავალი ალტერნატივა და საბოლოოდ მივიდნენ დასკვნამდე, რომ ყველაზე ენერგოეფექტური და ეკონომიკურად გამართლებული იქნება, თუ ჰიდროსადგურის დადგმულ სიმძლავრეს 795 მგვტ.-მდე გაზრდიან.

„განახლება საშუალებას მოგვცემს გავაუმჯობესოთ სადგურის ოპერირება და უკეთ გამოვიყენოთ წყლის რესურსი“ - აცხადებს მინისტრი.¹²

¹¹ <http://www.ecoseed.org/business/asia/17654-50-million-a-d-b-loan-to-develop-indonesia-s-geothermal-potential>

¹² <http://english.peopledaily.com.cn/business/n/2014/0815/c90778-8770159.html>

Shell-ი ლუიზიანასა და ვაიომინგში არსებულ ფიქალის საბადოებს ყიდის

Royal Dutch Shell-მა განაცხადა, რომ ის ლუიზიანასა და ვაიომინგში არსებულ ფიქალის გაზის აქტივებს ორი სხვადასხვა გარიგებით ჯამურად 2.1 მლრდ აშშ დოლარად ყიდის და ამ თანხით პენსილვანიაში მარსელუსისა და უტიკას საბადოებზე სამუშაო ფართობის გაზრდას გეგმავს.

კომპანიის ამერიკის მიმართულების დირექტორის მარვინ ოდუმის ცნობით, ისინი იყიდიან ძალიან მიმზიდველ ადგილს უტიკაში, სადაც დადებითი შედეგები დაფიქსირდა, ხოლო პინედალესა და ჰეინეშვილის მშრალი გაზის საბადოებს გაყიდიან.

Ultra Petroleum Corp-თან გასაფორმებელი ხელშეკრულება ითვალისწინებს ანგლო-ჰოლანდიური კომპანიის (Shell) ვაიომინგის პინადელეს საბადოს გაცვლას მარცელუსისა და უტიკას ფიქალის საბადოების 155000 აკრში. აღსანიშნავია, რომ ამ შეთანხმებით Shell-ი ასევე მიიღებს 925 მლნ აშშ დოლარს.

ხოლო ლუიზიანაში ჰეინეშვილის საბადოს 1.2 მლრდ აშშ დოლარად დალასში დაფუძნებული ფიქალის გაზის საძიებო და მწარმოებელი Vine Oil and Gas LP და Blackstone Group-ი იყიდიან.

Vine-ი Blackstone Group-ის მიერ ჩამოყალიბებული კომპანიაა, რომლის შექმნის მიზანიც ფიქალის გაზის ინდუსტრიაში თავის დამკვიდრება და დამოუკიდებელ, მნიშვნელოვან მოთამაშედ ქცევა იყო.¹³

ანალიტიკა

ფიქალის ნავთობი ახლო აღმოსავლეთის დინამიკას ცვლის

უახლეს ისტორიაში თითქმის ყოველთვის, 2008 წლის ნავთობის კრიზისის ჩათვლით, როცა ნედლი ნავთობის ფასმა ბარელზე 147 აშშ დოლარს მიაღწია, ახლო აღმოსავლეთის კონფლიქტი ნავთობის ფასების ზრდის სინონიმად მოიაზრება.

მიზეზი აშკარაა: 150-ზე მეტი წელია მსოფლიოს დამოკიდებულება ნავთობპროდუქტებზე სულ უფრო იზრდება ენერგეტიკული, გათბობის, ტრანსპორტისა და წარმოების მიზნებიდან გამომდინარე. თამამად შეიძლება ითქვას, რომ თანამედროვე გლობალური ეკონომიკა მიწიდან მოპოვებულ ნახშირწყალბადებზეა დამოკიდებული. სანამ მსოფლიო ნავთობის აღმოჩენილი მარაგების უდიდესი ნაწილი ახლო

¹³ <http://online.wsj.com/articles/royal-dutch-shell-to-sell-louisiana-wyoming-assets-for-2-1-billion-1408022863>

აღმოსავლეთის ტერიტორიაზე, მოვლენების ნებისმიერი განვითარება, რაც საფრთხეს უქმნის აღნიშნული რეგიონიდან მიწოდების უსაფრთხოებას, მსოფლიო ფასების ზრდის მომასწავლებელია.



დღემდე ერაყში, ლიბიასა და სირიაში განვითარებული სამოქალაქო ომების, ღაზას სექტორში ისრაელის სისხლიანი ჩარევის, ეგვიპტეში მიმდინარე ქრონიკული სამხედრო გადატრიალების, უკრაინა-რუსეთის სამხედრო დაპირისპირების მიუხედავად, ნედლი ნავთობის ფასების სინამდვილეში მცირდება. ეკონომიკურად ეს შეიძლება ორიდან ერთს ნიშნავდეს - ან ნავთობზე მოთხოვნა შემცირდა იმის გათვალისწინებით, რომ მიწოდების შეზღუდვის საფრთხე კრიტიკული აღარაა, ან ტრადიციული წყაროებიდან მიღებულ ნავთობს მსოფლიო ბაზარზე ისეთი ძლიერი პოზიცია აღარ უჭირავს, როგორც ეს ადრე იყო. თუმცა, აღნიშნული ორივე ფაქტორის გავლენა იგრძნობა. 2009 წლის ეკონომიკურმა კრიზისმა ენერჯის ფასების „ბუმტი“ გახეთქა და მას შემდეგ ნავთობზე მოთხოვნა ანემიური ხასიათის გახდა. საერთაშორისო ენერგეტიკული სააგენტოს მიხედვით, ბოლო კვარტალში მოთხოვნა 2012 წლის შემდეგ სულ მცირედით გაიზარდა.

თუმცა ეს უკანასკნელი საკმარისი არაა, რათა ნავთობის ბაზარი კვლავ „დამშვიდდეს“, მაშინ როცა ახლო აღმოსავლეთში საომარი მოქმედებები მძვინვარებს, განსაკუთრებით არეულობის ცენტრია ერაყი, რომელიც მსოფლიოში მეშვიდე ნავთობმწარმოებელი ქვეყანაა.

რეალობა ისაა, რომ არ არსებობს ნავთობის ბაზარზე პანიკის აუცილებლობა. ფიქალის გაზის გლობალური ბუმი და განსაკუთრებით აშშ-ში „ფრეკინგის“ ტექნოლოგიების განვითარებით წარმოების სერიოზული ზრდა ნიშნავს, რომ ნავთობის მიწოდების კრიზისი არ არსებობს. პირიქით, ბაზარზე ნავთობის სიჭარბეა და აშშ 2008 წლის ბუმთან შედარებით მის მეოთხედზე ოდნავ ნაკლების იმპორტს ახდენს.

მსოფლიოში ახლო აღმოსავლეთის მნიშვნელობის შემცირებას როგორც გეოპოლიტიკური, ისე ეკონომიკური მიზეზები აქვს. ფაქტიურად, რეგიონში არსებული ქაოსი პირდაპირ დაკავშირებულია „ძლიერი ადამიანების“ მცდელობების შემცირებასთან, რომლებიც სიტუაციის მართვას ე.წ. „რკინის მუშტებით“ ახდენდნენ დასავლეთის ქვეყნების მხარდაჭერით, რომელთა პრიორიტეტი სტაბილურობა და ნავთობის მიწოდების შეუფერხებლობა უფრო იყო, ვიდრე სხვა „სამშვიდობო“ მიზნები.

როგორც ერაცსა და ავღანეთში აშშ-ს სამხედრო დანაყოფების განთავსება იყო ძალიან უსიამოვნო თემა, ასევე დღეს არსებული რეალობაც უკიდურესად ცუდი ახალი ამბავია ახლო აღმოსავლეთში მცხოვრები მილიონობით ჩვეულებრივი მოქალაქისთვის, მათ შორის ერაცის, სირიის, ლიბიისა და ეგვიპტის მცხოვრებთათვის.¹⁴

¹⁴ <http://www.bdlive.co.za/Feeds/BusinessDay/2014/08/15/editorial-shale-oil-changes-mideast-dynamics>